

რეპაზ სირაძე

ღაპით გურამიშვილის სულიერი ცხოვრების გზა

ახლა რა ექნა?! სად წავიდე?!
გზა შემექმნა დახლართული,
ქარი ქრის და, აფრავაბლით
ვარ ზომალდით ზღვას შერთული.
„დავითიანი“

„მე ვარ გზაი, მე ვარ ქეშმარიტებაი
და ცხოვრებაი“ (იოანე, 14, 6)

„დავითიანში“ ჩანს ავტორის ყოფითი ცხოვრების გზაც და სულიერიც. აბსურდული იყო დავით გურამიშვილის ცხოვრების მთელი გზა, რომელიც იწყებოდა ლამისყანაში, მისი შეპყრობით... შემდეგ ტყვეობა დაღესტანში (სოფ. ოსოქოლოში – ხაროში)... მერეა გზა ედილით (მდ. ვოლგით) მოსკოვისაკენ, შემდეგ სელა რუსის ჯარის საომარ გზებზე...

დასრულდა იგი უკრაინის ქ. მირგოროდთან. დასრულდა და აქვე „გურამოვის“ გვარით აღესრულა გორისუბნელი (საგურამოელი) კახთათაყადი, დავით გურამიშვილი. ეს გზა ნაიძალა და შემორჩა მხოლოდ „დავითიანში“, ვითარცა ოდენ მიმსგავსებული რამ, იმიტაცია, პოეტური „გარდასახვა“, მაგრამ რეალობასთან შედარებით დამცრობილი, მისი „მულაჟი“ („სიმულაკრა“). შემდეგაც, გვიან, საგურამოსა და, მეტადრე, მცხეთის გახსენებისას, დ. გურამიშვილს შეეძლო შეეგრძნო გზათა თვით ეროვნული მნიშვნელობა: იქ, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, იკეთებოდა საქართველოს ორი მთავარი ექტორი, ორი მთავარი გზა: დასავლეთ-აღმოსავლეთისა (მტკვრის ხეობაში) და სამხრეთ-ჩრდილოეთისა (არაგვის ხეობაში). და ეს ქმნიდა საქართველოს გეოგრაფიის ჯეარსახოვნებას. მაგრამ გზებმა ისტორიული აზრი დაკარგა. და ეს იყო თავისებური პოსტიტორიზმი, ისტორიის „აზრიდან დაცლა“. ნაიძალა ისიც, რომ ესა თუ ის გზა

რალაცის პარადიგმა ანუ სანიმუშო რამ ყოფილიყო. ამას მაშინვე აზრ
გამოუწვევია დამკვიდრება პოსტ-პარადიგმული აზროვნებისა, ანუ
მოშლა ყველა სანიმუშო სახე-სიმბოლოებისა. მაშასადამე, პოსტ-
პარადიგმული თვალთახედვა ასე თუ ისე ითვალისწინებს წინარე
პარადიგმების არსებობას.

„დავითიანში“ პოეზია არ ამალღებს ყოფითობას, პირიქით, ამდ-
ბლებს წარმავლობას, ხოლო წარუვადი და თავისთავად ამალღე-
ბული კი აქ ქრიხტიანული კრძალეითაა („პიეტეტითაა“) ხილული
ზეაპყრობილი მზერით.

„დავითიანში“ ორი გზაა: სულიერი და ყოფითი. სულიერი გზა დ. გურამიშვილისათვის დავით ფსალმუნთმგალობელთან თანაზიარობაა. ცხადია, ესაა მაცხოვრის გზაც. დავით ფსალმუნთმგალობელი არის დ. გურამიშვილის მეორე პოეტური „მე“, მისი ალტერ-ეგო. „დავითიანის“ პოეტური პირველნიშუბია (პარადიგმა) „დავითნი“, „ანუ ფსალმუნნი“. „დავითნი“ განმსაზღვრელია „დავითიანის“ ლირიკული ნიაღვრისა. „ღმერთო, მისმინე დავითის (ანუ ფსალმუნთმეტყველის) საგალობელიო“, – წერდა გურამიშვილი („ამ ნიგნის გამლექსავის სულის მოხსენიება“). დ. გურამიშვილს სურს იმ დავითისმიერი სიტყვებით ავედროს ღმერთს საკუთარი სულის მოხსენიება.

დღეს თუ დაიკარგა ფსალმუნურ სულიერ გზათა შეგრძნება, თუ ეს იქცა მხოლოდ წარსულად, და იქცა გამოფიტულ სიმულაკრად, ველარც „დავითიანის“ სულიერ გზათა შეგრძნება შეგერჩება და ველარც „გალობანი სინანულისა“ და საერთოდ, მთელი ფსალმუნური ლირიკა, იქნება ეს „ფსალმუნი“ გრ. ორბელიანისა, ნ. ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ თუ აკაკის „ქებათა-ქება“, ან ვაჟას მთელი ის ლირიკა, რომლის წინამორბედად თვითონ ვაჟა „დავითიანის“ ავტორს მიიჩნევდა.

დრომ მოიტანა და, ჩვენ ყოველივე ამას დიდად დავშორდით, თანაც ამის გამო სუედაც კი არ ჩნდება ხოლმე, როგორც ეს, მაგალითად, ნ. ბარათაშვილთან ხდება რწმენის დაკარგვის გამო („ვპოვე ტაძარი“). დ. გურამიშვილთანაც მსგავსი განცდაა:

„დაუქარგე იგი ოქროს ბეჭედი,
რომლით ნიშნულ არს ჩემი შეუბადი,
აბ შეტყუიან ვან(ნი) გებადი,
მე, საუკუნო განსვენებადი“

აქ ასეთი რამ არის: რწმენის ბეჭდის დაკარგვით დაიქცევა დ. გურამიშვილის წილი ქვეყანა, ამქვეყნიურობაც და საუკუნო განსასვენებელიც.



დავით გურამიშვილის ძეგლი თბილისში. მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი

„დავითიანი“ დ. გურამიშვილის სულიერი ბიოგრაფიაცაა და ხოჯაყი. ელიც. „დავითიანი“ თვითშემეცნების ნიგნია იგი იწყება და მთავრდება დ. გურამიშვილით. „დავითიანი“ მისი „შვილია“, სულიერი შვილი:

„მე, უშვილომ ეს ობოლი მძლივ გაეზარდე დიდი ჭირით“ (23, 10).

„ყოველი წული მშობელთა მზგავსს, მზგავსი ემზგავსებთან“ (29, 15).

ასეა „ამ ნიგნთა გამლექსავის გვარისა და სახელის გამოცხადებაში“, რომელიც ხელნაწერში კრებული ბოლოსაა და ამასვე ეხმიანება „დავითიანის“ პირველი ნიგნის „თავი შესავალი“ – „ქართულთ უფალთა მეგვარტომობის იგავი“.

„დავითიანი“ კრებულია, პოლიგანრული კრებული: აქაა ისტორიული ნაწილი („ქართლის ჭირი“ და სხვა), დიდაქტიკური ლექსები, ბუკოლიკურ-პასტორალური (მწყემსთა ყოფის ამსახველი) პოემა „ქაცვია მწყემსი“, მაგრამ მთავარია რელიგიური ლირიკა. „დავითიანი“ მთლიანობაცაა, და მის მთლიანობას ქმნის სულიერი ნაკადი, და ესაა სწორედ ავტორის სულის პოეტური გარდასახვა. ეს მისი სულიერი გზაა.

დ. გურამიშვილის ცხოვრებისეულ, აბსურდულ, უაზრო გზას საზრისს ანიჭებს „დავითიანი“. კითხვას: „რომელი გზაა? – „დავითიანი“ ცვლის კითხვით – რისი გზაა? – როგორც ესაა „ეკლესიასტები“ დროის მიმართ: რა დროა? – ეს კი არაა მთავარი, არამედ – „რისი დროა?“ (რისი ჭამია?).

გალაკტიონი წერდა: „გზები გაუვალი და გზები გავლილი – გული-სტკივილით მაქვს ყველა შესწავლილი. ადის მწვერვალზე, თუ ქაობში ეფლობა, – ერთი ნიშანი აქვს დაუსრულებლობა“. „დავითიანი“ სულიერებით მალდებდა მისივე ავტორის ცხოვრების გზებზე. ეს გზები გადაკეთს დროსა და სივრცეს და იქმნება დრო-სივრცული (ქრონო-ტოპული) მთლიანობა. დ. გურამიშვილი ხშირად მოიხმობს ხოლმე ღვთისმშობელს, რათა იხსნას იგი „ადგილთა სატანჯველთაგან“. „დავითიანში“ შეუცნობელია თვით ხილული გზებიც და, მეტადრე, უხილავი გზები. თითქოსდა, ყოველივე მათგანზე ვრცელდება ევანგელური აზრი: შეუცნობელი არიან გზანი უფლისანი (რომ., 11, 33).

დ. გურამიშვილის სახეა ნიგნი „დავითიანი“. ისაა მისი „მომგონებელი“ და ამას ეხმიანება მისივე წუხილი: „მომხსენებელი არ მრჩების, მაშფოთებს, ეს მალონებსა... ცოცხალიც არვის ვახსოვარ, მკედარს ვინლა მომიგონებსა“ (29, 16). ამ ნიგნით უნდა აღსრულდეს მისი ვედრება ღვთისადმი: „გვაჯები, ნუ გამწირავ, მოუპკდე, შენ კერძ დამმარხეო“ (73).

ეს სიტყვები ღუთისადმია მიმართული, მაგრამ შემთხვევითად აჩაა (და გასაგები აზრით, კარგიცაა) ის ცდომილება, რომ მათ უკავშირებდნენ სამშობლოს (სამშობლო - სამოთხე).

დ. გურამიშვილის ყოფითი ცხოვრება იყო ლაბირინთი, არა ამისი ანტიკური გაგებით, არამედ პოსტმოდერნისტული აზრით: აბსურდული ცხოვრება და აბსურდული ლაბირინთი. დ. გურამიშვილი თავისი ცხოვრებით ჩარჩა იმ ლაბირინთში, მაგრამ მას თავი დააღწია „დავითიანი“: მან, ე. ი. მისმა სულმა; სულმა ჩამოაღწია საქართველოში, ხორციელად კი იქ, მირგოროდში განისვენებს („საფლავის ქვაზე დასაწვრად“ ასეთი სიტყვები დაუტოვებია: „ხორცილთაქ ვლპები, ან ჩემი სული, არა ვიცი რა, სად არს მისული“).

საქართველოს დ. გურამიშვილი გადაურჩინა ნიგნმა.

1787 წელს მირიან ბატონიშვილი, ძე ერეკლე II-ისა, უკრაინაში მიემგზავრებოდა ქ. კრემენჩუკს, ფელდმარშალ პოტიომკინთან მოსალაპარაკებლად გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატთან დაკავშირებით. გზა მირგოროდზე გადიოდა. უფლისწულმა გაიგო, რომ იქ ცხოვრობდა პორუჩიკი, თავადი გურამოვი. ეს იყო დ. გურამიშვილი. მას სწორედ ამ დროისთვის შეუესია და განუსრულებია თავისი ავტოგრაფიული კრებული, თუმცა ზოგიერთი ხარვეზიც დარჩენია. კრებულის ბოლოს დაურთავს წყლის ასამაღლებლისა და ნისქვილის ნახაზი, რაც, ეტყობა, ძალზე მოსწონდა, იმდენი რამის შესრულებას მიაწერდა ამ გამოგონებას... თანაც დასძენდა: რაც ჩამონათელიდან ვერ გაიგონ, „საიდუმლოდ მკითხონო“. საერთოდ, ძალზე ასაიდუმლოებს ამ პროექტს, რომელიც მალაროსიისთვის ჰქონია გამიზნული.

მირიან ბატონიშვილმა წამოიღო „დავითიანი“. გზაში კინალამ დაუკარგავთ. მერეც დიდხანს ცნობილი ვერ გამზდარა, თუმცა XIX საუკუნის დასაწყისში რამდენიმე პირად გადაუნუსხავთ.

„დავითიანი“ საქართველოში ცნობილი ხდება მაშინ, როცა დ. გურამიშვილის ეპოქა დამთავრდა. 1838 წელს მას ეხება მარი ბროსე. ეს ნაწარმოები პირველად 1870 წელს დაიბეჭდა, თუმცა მანამდე ნაწყვეტები გამოქვეყნდა „ცისკარში“ (1852 წ.).

ჩნდება ალბათობრივი აზრი: დ. გურამიშვილის დროს საქართველოში ძალზე მძლავრობდა სპარსოფილობა ან ბესიკური ლირიკა. და მას რომ საქართველოში ეცხოვრა, იქნება, დიდწილად, თბილისურ პოეტურ ჰამქარს გასჯიბრებოდა და არასასურველი ნარმატებისათვისაც მიეღწია.

თუკი დაინერება, ალბათ, საინტერესო იქნება „დავითიანის“ მკი-

თბელების ისტორია. უმბერტო ეკოს კვალობაზე თუ ვიტყვით, „დავითი-
თიანი“ ქმნის თავის მკითხველს, მაგრამ მკითხველიც ქმნის თავის
„დავითიანს“. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მკითხველის მიერ
ეს სხვადასხვაგვარად ხდება ხოლმე. „დავითიანის“ შინაარსი ნა-
მდვილდება მკითხველში, ნებისმიერ საინტერესო მკითხველში. არსე-
ბითად, რაც მკითხველში ჩნდება, ისაა „დავითიანი“.

დ. გურამიშვილმა თავისი თავი „დავითიანის“ პერსონაჟად გამო-
იყვანა. ესაა ჩვენება საკუთარი თავგადასავლისა. დ. გურამიშვილის
შინაგანი სულიერი სამყარო ჩანს თითქმის ყველა რელიგიურ ლე-
ქსში. და ასეა მაშინაც კი, როცა ამა თუ იმ ნაწარმოებში სხვაა
ლირიკული სუბიექტი, ანუ სათქმელი მიუწერება სხვას: მაცხოვარს,
დავით ფსალმუნთმგალობელს, ან ღვთისმშობელს.

„დავითიანში“ დ. გურამიშვილი წარმოდგენილია არა კერძოობითი
ბიოგრაფიით, არამედ განზოგადებული სახით, საჩვენებლად იმისა,
თუ რა გადახდებოდა ხოლმე თავს ქართველ კაცს იმ ეპოქაში. დ.
გურამიშვილის ცხოვრება ამისი ტრაგიკული და თან აბსურდული
გამოხატულებაა.

დ. გურამიშვილი თითქოსდა გარედან უყურებს თავის ყოფით
თავგადასავალს, მასში ჩნდება სხვა, მაღალსულიერი სუბიექტი, რო-
მელიც სიკეთის თვალთახედვით აღიქვამს თავისთავზევე დატრო-
პულ მნებლედობას და ამას საკუთარი ცოდვილიანობით ხსნის.
თანაც ამას კარგი იუმორი ახლავს.

ძალზე თავისებურია დ. გურამიშვილის თვითთრონია. თვითთრო-
ნია ხან რალაცნაირად შეფარულია, შინაგანია, არადა, გარეგნულად,
თითქოსდა, ლაღად გამოთქმულია. ირონიულია მოძალებულ ფიქრთა
პარადოქსული ურთიერთმონაცვლეობა:

„მე ვიყავ ერთი თავადი, მოსახლე გორისუბანსა,
ჯვარობას ჩენი ქალ-რძალი იცემდა არ აეს ჯუბასა,
მუნით გამტყორცნა სანუთრომ, გარდამაცილა ყუბანსა,
ვაი, რა კარგად მოვსთქმედი, მეტყოდეს ენზე თუ ბანსა“. (72).

აქ სხვა მომენტებთან ერთად ჩანს ერთი რამ: დ. გურამიშვილი
თითქოს თავისთავს მთლიანად ღირსად არც კი თვლის საკუთარი
ცოდვილიანობის შეგრძნებისას და ამასაც კი ერთგვარ ირონიას
აახლებს; სხვაგვარადვე უნდა აიხსნას, ცოდვის ტირილის ფაქტს რომ
ვილაცის ბანს მოვლის. ესაა ირონია მასზე, ვისაც არ ძალუძს გუ-
ლწრფელად თქვას თავისი გალობანი სინანულისანი.

ლამისყანაში შეიპყრო (1727 წ.), მკის დროს მუშებთან მისული,

ირტოზის გორით შემოპარულმა თხუთმეტმა ლექმა და სოფ. ოსოჭორ-
ლოში მიიყვანეს. ხაროში მჯდომი კაცის ვედრება ჩანს ღვთისადმი
მის ლოცვაში: „ბნელსა ვზივარ, გეაჯები, სასინათლო ამიხვრიტო,
ამოვსძრე და გამოვიქცე, მოვიდე და შენა გჭერიტო“ (73). „მიმიყვა-
ნეს, არა ღირსთა ღირსეულად მიმსახურეს, ... უსასყიდლოდ მიღე-
ბული გასასყიდლად დამაძურეს. გავეპარე, დამიჭირეს, რად ნა-
ხველო დამპანლურეს“ (72). „ხელმეორედ გავიპარე, რაკი ეპოვე
ჯამი, დრონი“.

აქ რეალური და ნარმოსახვითი ერთმანეთს ერწყმის. ასეა ლე-
ქსში „სიზმარი“, სადაც მას ეუნყა ტყვეობიდან გაქცევა. მანამდეა:
„სწავლა თავის გაფრთხილებისა და შორს ნასვლაზე მზად ყოფნისა“.
აქ პოეტი ცდილობს, რომ თავისი უბედურება გადააქციოს ზოგად
საფიქრალად: კაცი უნდა მზად იყოს შორს გადასაქარგაეადო. თუ-
მცა ეს იწყება რალაც თამაშისმაგვარი სილალით: „რა ვარგონია,
მგონია, ეს სიტყვა გასაგონია; ბალ-ნალკოტისა მოქმედთა ვარდი
დათესოს, რგონ ია. თუ სნეულებას უფრთხოდე, ჭამე, სვი, შესა-
რგონია“. შემდეგ „თამაში“ ასე შემობრუნდება: „უქმედ ბერისა
მჭამელი გაუმაძლარი ღორია; ყურ-მძიმე, ლაფში ჩაფლული, ზანტი,
უღონო ჯორია“ (79). ყოველივე ეს არ ჰგავს ტყვეობაში მყოფი
კაცის ნაფიქრალს.

ესეც ალბათ თვითირონიაა, პაროდირებაა ასეთი ფიქრებისა.

ერთი ლექსი – „ტყვეობიდან გაპარეა დავითისა“ – ასე იწყება:
„გულზედ მქონდა მოხაზული ცხოვრებისა ნყაროს ღვარი“. შემდეგ
ნათქვამია: „დღისით წინამძღვრად მზე მყვანდის, ღამით ეუჭვრე-
ტდი მთვარესა, მივენდე შვიდთა ვარსკვლავთა მას ჩრდილოეთის
მხარესა, ღამით შიშველ მთას მივადექ შუვა დაღესტნის არესა“.
ღამით გზას ელვა მინათებდა, დღისით ჯაგნარსა და გამოქცაბულში
ვიმალებოდიო.

ასეთ ძნელბედობის ჟამსაც კი, თუნდაც ამის მოგონებისას, დ.
გურამიშვილს სულ ახლავს იუმორი. იუმორი იგრძნობა არა მხოლოდ
მოუღენათა აღწერისას, არამედ თვით აღწერის საკუთარი სტილის
მიმართაც, კერძოდ, საგანგებოდ გადაჭარბებული დეტალიზაციის
მიმართ:

„თუმც არ მეჭამა მე პური თბილ-თაჯა ჯაეახურია,
არ მესეა ღვინო კახური, არ ეოჯავ ნაბახურია;
ათი დღის მძიერს მომერთვა საფილი საკვებურია,
მოუნეწარი კვინჩხი და მკეახე მე კონახურია“. (89).

კიდევ უფრო იუმორისტული იქნებოდა, სერიოზულად რომ ეტყობოდა იქ „თბილ-თაჯა“ ჯაეახური პური და „კახური“, თანაც როცა თითქოს აქვს „სადილი საკვებურია“ – კვინჩი და კონახური. ამ ნატერა-ოცნებებს ცვლის რეალობა, რომლითაც „სარუსეთოში“ შესვლა აღნიშნა: მოულოდნელად წაანყდა ორ კიტრსა და საზამთროს ნატებს. მოულოდნელობამ „კარგი ცხოვრება“ მოანდომა და მათი გარეცხვა გადაწყვიტა. ჭაულმა გამოსტაცა ისინი და იმდენი სდია, კინალამ წყალში დაიძირა. ღვთის საყვედურიც კი წამოსცდენია: „თუ მომეც, რაღად წამართვი, ან ასე რად გავინირე“, „თუ არ გინდოდა ჩემთვისა, რად დამხვდა გამზადებული?!“ მალე გონს მოეგო, სინანული მოეძალა და საღვთო სათნოებით აღვსილი ისეთი ტირილად წარმოსთქვა, რომლის მცოდნეს მით უფრო არ ეპატიება სულმდებლობა. ალბათ, ესეც თვითმხილებაა, წარმოჩენაა საკუთარი გაორებისა: დაეჭვებაა, თუ ვინაა ის, ღვთის მოსაყვედურეა თუ მისი სათნომყოფელი?

ბოლოს ყაზახ-რუსებს გადაჰყრია, როცა ქალ-კაცნი კალოხ ლენავდნენ. ყელზე ჯვრები უჩანდათ. დ. გურამიშვილი პირჯვრის წერით ემთხვია მათ ჯვარს. მაშინ ერთმა სთხოვა მეორეს: „დაი ხლებო, ლაზარი!“ (ხომ არ ხდება ამ საკუთარი სახელით შეხმიანება ახალდატყვევებული დავითის ღვთისადმი ედრებასთან: „ვით ლაზარეს დამარხულსა აღდექ“ – თავსა დამძახეო?!“ (73).

ასე გადარჩა დ. გურამიშვილი. ამას მოჰყვება მალაღმსიქოლოგიური შინაარსით განმსჭვალული იშვიათი სტრიქონი:

„ამ სიხარულმან დამბალა ჯავრით შეკრული კონა“ (93).

ასეთი მალაღმსატერული სტრიქონი იშვიათია მთელს „ქართლის ჭირში“, თუ არ ჩავთვლით ჩვენს მიერ ეპიგრაფად მოხმობილ სტრიქონებს.

დ. გურამიშვილი გადაურჩენიათ რუსებს, რომლებმაც ჯერ კიდევ იმ დროს დააქციეს საქართველო.

დ. გურამიშვილი იგონებს:

„როგორც რომ ერთმან ყაზახმან მე მაშინ მაზიარაო,
როცა რომ მყვანდა, მიუღიდა მეტს მაშაჩემი არაო“.

ნავით საყდართან მოუყვანიათ და იქ ულოცია. მერე ასტრახანის გავლით მოსკოვს ჩასულა. იქ, მოსკოვის ახლოს, სოფ. ვსებსვიატსკოეში ქართველები სახლობდნენ: იქ იყო სამეფო კარი, კარის ეკლესიით. იყვნენ დიდებულები, სამღვდელოება, მსახურები, იქ ისმოდა

ქართული ენა, ყველაფერი იყო ქართული, მაგრამ არ იყო საქართველო, იყო ცივი და შორეული რუსეთი. ეს მინიატურული საქართველო დამცრობილი საქართველოს უბედურებას გამოხატავდა.

იქ დ. გურამიშვილს პატივი დასდეს და ჯაბადარბაშობა (იარაღის მეთვალყურის) თანამდებობა („სახელო“) უბოძეს. იმასაც ამბობენ, რომ დავით გურამიშვილი იქ ლიტერატურულ საქმიანობაში ჩაებაო. თვითონ უფრო ობიექტურად გამოხატავს თავის განცდებს: „ქარგი იყო აღდგომასა მეფეთაგან მეჯლიშობა, ზმა, შაირი, გალობანი, ჩანგთ კერა, მღერა, თამაშობა“. ეტყობა, სამშობლოდაქარგულ სამეფო კარს არ ეთმობოდა დროსტარება. ეტყობა, სურდათ მზიარულებაში ჩახშოთ პატრიოტული სევდა (ცნობილი იდეთ: „თუ ასე ვიმზიარულებთ, რას დაგვაკლებს მტერიო“). თვით დ. გურამიშვილი თავის მონანილეობას იქაურ „ლიტერატურულ საქმიანობაში“ ასე გადმოგვცემს:

„ჯავახიშვილს გაშალექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსა,
პირად მჭლესა, ტანად ხმელსა, ვით ნუფრიანს ხესა მრუდსა,
რაც მე ვუთხრა, შას შაჩნდის, ვით ნაცეცხლი უკან კუდსა,
ბევრჯელ ასე იმწიკტინის, კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა“.

ეს ნატურალისტური სურათი იქაური საშაირო „შერკინების“ მაინცდამაინც მაღალ დონეს ვერ წარმოაჩენს.

ამის შემდეგ ბევრი რამ აღარ ჩანს. რაც ჩანს, მასში დ. გურამიშვილის მონანილეობა არ იყო მნიშვნელოვანი.

გავიდა დრო. 1737 წელს გარდაიცვალა ვახტანგ VI, რომელიც ასე დაიტირა დ. გურამიშვილმა: „ვაი, რა ბოძი ნაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო! ლხინი, შეება და სიაშე სულ ჭირად გარდაგვექცაო“. ამით დ. გურამიშვილისათვის დასრულდა ყოველგვარი პერსპექტივა ეროვნულ საქმეებში მონანილეობისა.

დაიწყო სულ ახალი გზა, კიდევ უფრო გაურკვეველი და კიდევ უფრო აბსურდული. პიროვნული ცხოვრებით იგი აღარ ეკუთვნის საქართველოსა და, ალბათ, არც თავის თავს. იგი ეკუთვნოდა რუსის ჯარს, ჯერ არაეროვნული „ქართული“ ფორმით – იგი ჩაენერა ქართველ ჰუსართა პოლკში. მერე იბრძვის რუსეთის რამდენიმე ომში, მაგალითად, პრუსიელების წინააღმდეგ. თითქოს პირად სიხარულს გამოხატავსო, ისე ამბობს: „ორმოცწივდმეტს ბრუსის კაროლს შევურყივეთ ტახტის სვეტიო“. ამ ბრძოლისას იგი ჩავარდა ტყვედ და ერთხანს პყავდათ მაგდებურგის ციხეში.

დ. გურამიშვილი საოცრად აქებს რუსეთის იმდროინდელ იმპერატორიკას – ანას: „ანა ხელმწიფე, რუსეთზე გადამწვდომარე, ბრძენ,

უხვი, მართალ-მონყალე, სამართალ დაუცდომარე". ასეთი ღირსეული მეფის წარმოდგენამ რუსთველის ფანტაზია მოითხოვა (როსტევეანის სახით), აქ კი იგი რეალობაშია დანახული.

ამ დროს ხდება ერთი საინტერესო რამ: დ. გურამიშვილი რომ პრუსიის მეფის დამარცხებით ამაყობს, იმ ხანად დიდი ფილოსოფოსი, კენისბერგელი ემანუელ კანტი კენისბერგში იმპერატრიცა ანას წარმომადგენელს თხოვნის წერილით მიმართავს, რომ როგორმე ნება დართონ უნივერსიტეტში ლექციების კითხვისა და ამ წერილშიც მოულოდნელი მაღალფარდოვანი ქებაა ანა იმპერატრიცასი. შემონახულია ეს წერილიც და ნებართვის საბუთებიც. ცხადია, არვინ არ იცოდა, თუ ვინ იყო კანტი, არც იმპერატრიცამ და არც მისმა ჩინოვნიკმა. დ. გურამიშვილმა კი ისიც არ იცოდა, თუ რატომ ხარობდა პრუსიის დაცემით.

მაგდებურგის ციხის ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ დ. გურამიშვილი აგრძელებს თავისი შინაგანი სულიერი ცხოვრების გამოხატვას, რაც მოცემულია მრავალ რელიგიურ ლექსში. აქაც რამდენჯერმე გაკრთება ხოლმე ზოგიერთი ბიოგრაფიული მომენტი: საცხოვრებლის დაკარგვა პრუსიაში ტყვეობისას, ანდა, თუ რეალობის ანარეკლად ჩავთვლით, ზუბოვკელ ქალთან შეხვედრა, ან „მოსკოვს ქალაქს მზეს ველოდითო". თუმცა ამ ლექსებში კონკრეტულ ცხოვრებისეულ რეალებზე მეტად წარმოდგენილია რელიგიური სიმბოლიკა და ესაა მთავარი.

მთელი მესამე ნიგნი „დავითიანისა" უმეტესწილად სოფლის სამდურავია. თავგადასავალი აღარც კი ჩანს. თითქოსდა, უკვე დამთავრდა პირადი ცხოვრება და იწყება მხოლოდ მისი გააზრებანი.

მერეა „ქაცვია მწყემსი", რომელიც გამონაგონზე დამყარებული ბუკოლიკური (მწყემსთა ცხოვრების ამსახველი) პოემაა, რაც უკრაინულ სინამდვილეშია გაშლილი, თუმცა მასშიც გაკრთება ისეთი რეალები, რომლებიც არ შეიძლება უკრაინაში მომხდარიყო და დ. გურამიშვილის ბავშვობას ასახავს: „მით იკლო სწავლამა, ჩვენში ლექთ დავლამა ნიგნი" მოსპოო, – ამას თავის თავზე ამბობს ქაცვია მწყემსის მამა, თუმცა ეს დ. გურამიშვილს შეეხება. ეტყობა, მოხუცებულობაში რომ ადამიანი უბრუნდება თავის ბავშვობას, ეს ხდება აქაც.

„დავითიანის" ბოლოს ლექსში „საფლავეს ქვაზე დასაწერი" პოეტი იხსენებს, რომ საგვარეულო საფლავი მქონდაო იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის მონასტერში და ისე მოგვმართავს, რომ თითქოს იმ ქვეყნიდან გვესაუბრებოდეს. ეს ყველაფერი ინე-

რება 1774-1787 წლებში, თუმცა ჩვენ გვაგულისხმებინებს მხოლოდ რედაქციალურად (1792 წლის 1 აგვისტოს).

ის მარტოდმარტო ცხოვრობს მირგოროდთან, ალბათ, ზუბოვკაში. მას ახსოვს უამრავი ქართული ხალხური ლექსი და ლიტერატურული ნაწარმოები, მთელი ბიბლია და რელიგიური სიმბოლიკა.

საოცრად ახსოვს ქართული ენა. მისთვის ესაა რაღაც ერთიანი, ყოვლისმომცველი სინამდვილე, რომელშიც იგი ცხოვრობს და რომელშიც შედის, როგორც ეკლესიაში. ეფრემ ასური (IV ს.) ამ ქვეყნისაგან განშორებულსა და ყველაფერს მოკლებულ მუდებნოეზე წერდა: ეკლესიად ჰქონდა ენა თვისიო. უკრაინაში დ. გურამიშვილს საქართველო ეცხადებოდა ენით და ამ გამოცხადებას იგი რეალობად აქცევდა „დავითიანში“. ქართული სიტყვა „დავითიანის“ მთავარი პერსონაჟია.

დასრულდა დ. გურამიშვილის ცხოვრების გზა და დასრულდა „დავითიანი“.

ბოლოსაა მისი ავტოპორტრეტი, პრიმიტიულად შესრულებული, მაგრამ სულიერებით აღესილი და შთამბეჭდავი, თანაც ერთგვარი თვითიროვნის შემცველი: გაღებული სხეულით, ლოცვა-ვედრებად ზეაღმართული ხელებით და მალააპყრობილი მზერით. მისი ტანსაცმელი, მზერა და სიქაჩლე ისეა გამოხატული, თითქოს, ერთგვარად ირონიზებულია თვით ისიც კი, რომ მას ეცოდებოდა თავისი თავი – რუსის ჯარის ყოფილი პორუჩიკი, შემორჩენილი შავ-ნითელი ძველმანი ფორმით და პორუჩიკისავე ბაკენბარდებით. სხეულს თითქოს უჭირს დაეყრდნოს ამქვეყნიურ საყრდენს და, თანაც ამასთან, კონტრასტსა ქმნის მისივე სხეულის ზეაღმართულობა.

ავტოპორტრეტს წამძღვარებული აქვს ლექსი – „ეს კაცი ასე ილოცავს“, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდება:

„ყოვლად წმინდაო, დამადევ
ნყლურზედ ნამალი სამთელი,
შემაძლებინე აღეანთო
მე შენს წინაშე სანთელი“.

ამითვე მთავრდება მთელი „დავითიანიც“. ეს ლექსი „დავითიანს“ ერთვის, როგორც საგალობლებს – „ღვთისმშობლისანი“.

სოფიო ცუცუნაშვილი-შაველიშვილი

ლამისყანელი გარაყანიძეები დავით გურამიშვილის შესახებ

დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის (1705-1792) ბიოგრაფია მჭიდროდ დაუკავშირდა ქსნის ხეობის ერთ-ერთი ძველი სოფლის – ლამისყანის ისტორიას.

საგურამოელი თავადი, გორისუბანში გაზრდილი და დაეგუგუებული დავით გურამიშვილი, „ქართლის ჭირმა“ იძულებული გახდა საკუთარი ციხე-სასახლე მიეტოვებინა და მოყვრის მამულში გახიზნულიყო.

„... ქვეყნის ნახდენის მიზეზით ეცხოვრობდი სხვის ქვეყანასა, სადაც უხმობენ სახელად, ქსნის ხევზე, ლამისყანასა, მუნ მოყვრის მუშას თავს ეადექ, მკას უპირებდით ყანასა“, -

გვიყვება პოეტი „დავითიანში“ (1-398).

მდიდარი აზნაურები იყვნენ ლამისყანის მკვიდრი გარაყანიძეები. ქსნის ხეობას გადაჰყურებდა დავით გურამიშვილის სიმაგრის სასახლე. ეკლესია მოშორებით, მახარებლის ლელის დასწვრივ ედგათ – „ბრინჯაოს ღეთისმშობელში“ ლოცულობდნენ გარაყანიძეები. იქვე იყო მათი ძვალშესალაგი.

ჟამთა სიახით არც ლამისყანაში ცხოვრება დასცალდა პოეტს. ამ სოფელში დატრიალდა ის ტრაგედია, დავით გურამიშვილი სამშობლოს რომ მოსწყეოტა: აქედან გაიტაცეს იგი ლეკებმა.

სოფელმა რამდენიმე ლეგენდა შემოგვინახა დავით გურამიშვილისა და ქეთევან გარაყანიძის ლაშაზი სიყვარულის სევდიანი ამბის შესახებ. მათგან ყურადღებას ერთზე შევაჩერებ, ქეთევან გარაყანიძის ძმის, იასონ გარაყანიძის, შთამომავლებმა რომ შემოგვინახეს.

ლამისყანაში ყელამ იცის, რომ დავით გურამიშვილი სიძე იყო გარაყანიძეთა იმ ოჯახისა, რომლის მოდგმაც დღეს კიკოანთ ქედზე, წმ. გიორგის ნიშთან ცხოვრობს. ამ ოჯახიდან იყო ელენე გარაყანიძე-ყორღანაშვილი (1872-1964), რომლის მოსმენაც განსაკუთრებით უყვარდათ ლამისყანელებს. ადმირალ კონსტანტინე ყორღანაშვილის (1863-1905) ქერიემა, გამორჩეული გარეგნობისა და განათლების ქალბატონმა, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და

„დავითიანი“. იგი ხშირად უამბობდა ახალგაზრდებს დავით გურამიშვილის შესახებ იმას, რაც წინაპრებისაგან მოესმინა.

გადმოცემა ასეთია: დავით გურამიშვილის სიამარის, ნიკოლოზ გარაყანიძის, ოჯახი ცხოვრობდა იმ სასახლეში, სოფელი ამჟამად „ერისთავებისას“ რომ ეძახის. სიძე-მოყვარე კარგი მომღბენები იყვნენ. დავითმა იასონს აჩუქა ორი ყანა და ერთი საღვინე¹ ნარწერით: „აავსე იასონ“. მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰქონდათ გარაყანიძეებს. სუფრას რომ შემოუსხდებოდნენ, საღვინე ერთ ჩამოტარებაზე ჰყოფნიდათ. სიმღერა ჰყვარებია დავით გურამიშვილს, განსაკუთრებით: „სუფრული“, „ზამთარო“ და „ჩემო ყურმა“ (2-127).

იმ საბედისწერო დღეს დ. გურამიშვილი ორი კაცით წინასწარ წავიდა სამკალზე სადილის თადარიგის დასაჭერად. დაიგვიანა. აივანზე მდგარი ქეთევანი გზას გასცქეროდა. უცებ დავითის ხმა ჩაესმა. სასახლე შესძრა ქეთევანის ყვირილმა: „ჩქარა, მდეუარი, დავითი გაიტაცესო!“ გულწასული ქალი აივანზე დაეარდა. დატყვევებულ დავითს პირში ჩაჩრილი ჩვარი ამოვარდნოდა და მისი ხმა ექოს სასახლემდე მიეტანა. მდეუარი მალე შეიკრიბა. გამოუკიდნენ, მაგრამ ამაოდ: ორტოზის გზით გატაცებულ ტყვეს ვერ უშველეს ჭამის გზით დადევნებულებმა.

ერთი წლის ჯვარდანერილები იყვნენ იმ დროს დავითი და ქეთევანი. შეილი არ ჰყავდათ. მოლოდინად იქცა ქალი, გზას გაჰყურებდა, დავითი კი არ ჩანდა. ოჯახმა გათხოვება მოსთხოვა. ქეთევანმა ახლოსაც არ გაიკარა ამის მთქმელნი, იუარა და იუკადრისა. დააძაღეს. ქალმა სიკედილი ირჩია დავითის ლაღატს. მსახურებმა მარანში წახეს ჩამომხრჩვალნი. გურამიშვილის გატაცებიდან ერთი წელი იყო გასული. იმის მერეა, ხალხში ხმა რომ გავრცელდა, სასახლის მარანში ალები ბუდობენო. შიში დარჩა იმ ადგილის მიმართ, სადაც თავმოკლული ქეთევანი წახეს. გარაყანიძეები კიკიანთ ქედზე გადასახლდნენ, მათეულ სახლში კი ერისთავები დამკვიდრდნენ².

დღეს ძნელია, თაობიდან თაობას გადმოცემულ ამ ამბავში რეალური და შეთხზული ერთმანეთისაგან გამოიჯნო. ერთის დამონება კი შემოიძლია. ხანდაზმული ლამისყანელები ახალგაზრდა რძლებს ისევ აფრთხილებენ „მზითუკან იქით (ხელს ერისთავების ნასახლარისაკენ გაიშვერენ) ბავშვები არ გაუშვათ, ცუდი ფუზიაო“.

¹ დაცულია კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.


² დაცულია ლამისყანის მუზეუმში.

ჩნდება კითხვა: თუ ქეთევან გარაყანიძემ თავი არ მოიკლა, მისმა ოჯახმა თავად შეთხზა ეს ამბავი? თვითმკვლელს ხომ ქრისტიანულ წესსაც ვერ აუგებდნენ და ღვთისმშობლის ეკლესიაში წინაპრების გვერდითაც ვერ დაკრძალავდნენ! და თუ გადმოცემა სინამდვილეა, ისევ ჩნდება კითხვა: ასე მალე რატომ გადაიწურა იმედი გარაყანიძეთა ოჯახმა, გათხოვებას რატომ აძლებდნენ ქმრის მომლოდინე ქალს? ხომ შეიძლებოდა, წლების მერე დაბრუნებულიყო სიძე სამშობლოში?

ქეთევან გარაყანიძემ საბედისწერო ნაბიჯი მოულოდნელი თავზარადამცემი ამბის გაგების შემდეგ ხომ არ გადადგა?

ძალიან მოკლედ გავისხენოთ ის ვითარება, რამაც აიძულა დავით გურამიშვილი სამკვიდრო მამული მიეტოვებინა და ლამისყანაში გახიზნულიყო.

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რეალური სურათი ასეთია: ქართლის ჯანიშინმა ვახტანგმა (იგი ქართლს 1703-1724 წ.წ. მართავდა) დაიწყო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება. ამან ქსნისა და არაგვის ერისთავების უკმაყოფილება გამოწვია. მათ ირანის შაჰს სთხოვეს, ქართლის ტახტზე დაესვა ვახტანგის გამაჰმადიანებული ძმა იესე (აღიყული-ხანი) და მიზანსაც მიაღწიეს. 1714 წელს იესე ქართლის მეფე გახდა. 1719 წლიდან გარეგნულად გამაჰმადიანებულმა ვახტანგ მეექვსემ კვლავ ქართლის გაერთიანება დაიწყო. იმერეთის დამხმარე ჯარის მეშვეობით დაიბრუნა გადამდგარი ქსნის საერისთაო. მეფეს გვერდში ედგნენ დავით გურამიშვილის მამა-ბიძები. ვახტანგ მეექვსეს თვალი ერთმორწმუნე რუსეთისაკენ ეჭირა. ირანის შაჰმა მას ეს არ აპატია, წაართვა ქართლის ტახტი და კახეთის მეფე კონსტანტინე მეორეს (მაჰმად-ყული-ხანს) გადასცა. ვახტანგმა დაიწყო ბრძოლა ქართლის დასაბრუნებლად. მას კვლავ იმერეთის ჯარი ეხმარებოდა, კონსტანტინეს კი - ყიზილბაშები და დაქირავებული ლეკები. ამ დროს ქართლს ოსმალები მოადგნენ. კონსტანტინე კახეთში გაბრუნდა. ვახტანგ მეექვსეს ქართლი ახლა ოსმალებმა წაართვეს და მის ძმას, იესეს, გადასცეს. 1723 წლის 14 ოქტომბერს გორის მახლობლად, ზედაველაზე ძმათა სისხლისმღვრელი ომი გაიმართა ვახტანგისა და იესეს მომხრეებს შორის. გურამიშვილები კვლავ მეფე ვახტანგს ედგნენ მხარში. იგი დამარცხდა და რუსეთში გადაიხვეწა. მეფეს მომხრეთა ერთი ნაწილი თან გაჰყვა, ნაწილი სამშობლოში დარჩა, მათ შორის იყო დავით გურამიშვილიც. ქართლი ანარქიამ მოიცვა, დამყარდა „ოსმალთა“ (1723-1736 წ.წ.) (3-468).



დავით გურამიშვილის
მიერ ცოლისძმისათვის
ნაჩუქარი ყანწები



დავით
გურამიშვილისეული
თიხის საღვინე
ნარწურით: „აავსე,
იასონ“.

სამშობლოში დარჩენილი დავით გურამიშვილი ლამისყანაში გაიხიზნა. მისი მოყვრები, ლამისყანელი გარაყანიძეები ქსნის ერისთავების სახლის აზნაურები იყვნენ (4-67). ნაკლებად სარწმუნოა, ერისთავებისთვის, რომლებიც ირანის შაჰს ვახტანგ VI ნაცვლად ქართლის მეფედ მის გამაჰმადიანებულ ძმას იესეს სთხოვდნენ, დავით გურამიშვილი, მეფე ვახტანგის მომხრე თავადი, სასურველი ხიზანი ყოფილიყო.

ლამისყანაში მცხოვრები გურამიშვილი საოჯახო-სამეურნეო საქმიანობაში ჩაერთო. ყანის მკის დროს, როგორც თავად გვეუბნება:

„დილაზე აუდექ, წინასწარ წაველ კაცითა ორითა,
ვსთქვი, მუშას სადილს უშნადებთ ძროხით, ცხვრითა და ღორითა...
ჩვენ თურმე გენახეს, მოგემართეს ლექთა ირტოზის გორითა“ (1-398)

თხუთმეტმა ლექმა „ხელ-ფეხს გენია მოდებული“ დავით გურამიშვილი ოსოქოლოს გზას გაუყენა.

რა ბედი ეწია იმ ორ კაცს, თან რომ ახლდა გარაყანიძეების სიძეს?

„შემიპყრეს, წამომიყვანეს“... ან კიდევ: „მარტო ვიყავ, არვინ მყავდა მე ღვთის მეტი, სხვა პატრონი“ – თავისთავად ნიშნავს, რომ გურამიშვილთან ერთად ისინი არ დაუტყვევებიათ; თუ ლექებმა დახოცეს, შეუძლებელია, პოეტს „დავითიანში“ ამაზე არაფერი ეთქვა; თუ მათ ლექებისაგან თავის დაღწევა მოახერხეს, მაშინ ისინი შეძლებდნენ მდეურის სწორ კვალზე დაყენებას, რაც არ მომხდარა: გურამიშვილი ირტოზის გორით გადაატარეს, მდევარი ქაშის მიმართულლებით გაეკიდა. ეს ორი სხვადასხვა გზაა! დავით გურამიშვილი მათ შესახებ დუმს, ეჭვგარეშეა – შეგნებულად. მისი დაკარგვიდან ერთ წელიწადში ქეთევან გარაყანიძეს გათხოვებას აიძულებენ. ქალისთვის ცნობილი ხდება, რომ დავითი ქვეყანას მოდებული კაციპარია ლექებისათვის მხოლოდ შემთხვევითი ნადავლი არ იყო: მას უღალატეს. თვითონ კი დავითის ღალატს სიკვდილი არჩია.

„საყვარელო, სახით თქმულო უსასყიდლო მარგალიტო!
ვის გადარო, ჩემთვის მკედარო, მზე, მზეთა-მზის მაგალითო!“ (1-399)

იქნებ ეს სიტყვები ქეთევან გარაყანიძეს ეძღვნება? დავით გურამიშვილის შემოქმედებაში ხომ პიროვნული და საზოგადო ერთმანეთსაა გადაჯაჭვული. პოეტმა ქართლის მემკვიდრისა და საკუთარი ბიოგრაფიის მოვალეობა თვითონ იტვირთა. შეუძლებელია, მართლის თქმის პრინციპის უღალატო შემოქმედის სულისგამყინავი სიტყვები:

„შე კი ეფარაუ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა პფარაუხს;
მეტად მწარედ გული მტკივა, მაგრფოლებს და ტანში მზარაუხს!..
ჩემი ცოდვამც მოსკემა ჩემს ამამთარელს, ამამზზარაუხს!“ (1-376). -

იმ კონკრეტულ ბოროტებას არ ეხებოდეს, დავითი რომ გახადა
„ველარ მნახაუი მოყვრისა ტან-ლერნამ პირად ვარდისა“ (1-438).

მეუღლის ამბავი, უდავოდ, ცნობილი იყო დ. გურამიშვილისთვის.
მას, ზუბოვკელი ლამაზი ქალით აღფრთოვანებულსაც, არ დაუინყუ-
ბია ქეთევან გარაყანიძე:

„ან, შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?
ქვეყნად შენგან უკეთესი მე არაუინ მყვანდა.
ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედაუ, მგულუები ცადა;
გეაულები, ნუ გამწირაუ, წამოყვანუ მანდა!“ (1-470).

საკმაოდ ბევრი ადგილი იძებნება „დავითიანში“ ისეთი, რომელიც
გვარწმუნებს, რომ გარაყანიძეების მიერ შემონახული გადმოცემა
შეთხზული არაა. ქეთევან გარაყანიძემ თავი შენირა დავით გურამი-
შვილის სიყვარულს, ხოლო თავად გურამიშვილი მონყვიტეს სამშო-
ბლოს. ამის შესახებ პოეტი „დავითიანის“ დასასრულს გვეუბნება:

„სანუთროს სოფლისაგან ბევრის გზით ენებული,
მრავალს განსაცდელსა შინა შეყუანებული,
სხვის ქვეყნად სამკეიდროს ქვეყნით გამოძებული,
დაკარგული ცოდვით, არ მადლით მოძებული“ (1-598).

დამონმებული ლიტერატურა:

1. ქართული მწერლობა, ტ. 7, დავითიანი, თბ., 1989.
2. ნამცერეუი, თბ., 1989.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10.
4. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV.